,,აღმოაჩინე დმანისი“

დმანისის ისტორიული ნაქალაქარი და პალეოანთროპოლოგიური ძეგლი თბილისიდან სამხრეთით, 85 კმ-ზე მდებარეობს. იგი წარმოაგენს უნიკალურ ადგილს, სადაც აფრიკის გარეთ უძველესი ჰომინიდების ნაშთებია აღმოჩენილი და მათი თარიღი 1.8 მილიონი წლით განისაზღვრება.

საოცარ კონტრასტს ქმნის ასეთი სიძველის ნაშთების აღმოჩენა შუა საუკუნეების ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე, რომლის სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის ნაგებობები დღესაც მრავლადაა ნაქალაქარზე.

- *დმანისის ნაქალაქარი. აეროფოტოსურათი*

- *ქვეშის ციხე. ხედი ჩრდილოეთიდან*

ქვეშის ციხე მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დმანისისკენ მიმავალი გზის გასწვრივ, შემაღლებულ კლდოვან ადგილზე, მდინარე მაშავერას ნაპირას. ქვეშის ციხის ისტორია დაკავშირებულია თამარ მეფის სახელთან და თარიღდება მე-13 საუკუნით. აღსანიშნავია, რომ ქვეშის ციხე საუკუნეების განმავლობაში აკონტროლებდა საქართველოს სამხრეთ რეგიონების მნიშვნელოვან გზებსა და გადასასვლელებს.

გვიანი შუა საუკუეებიდან მის მმართველებად სხვადასხვა ქართულ ფეოდალური გვარი გვევლინება, მათ შორის ერთერთი ძლიერი იყო ობელიანთა საგვარეულო. ციხის კედლებს შიგნით დგას წმ. ნიკოლოზის ეკლესია რომელიც მრავალგზის არის გადაკეთებული. მისი აგების ზუსტი თარიღი უცნობია. უკანასკნელად მისი საფუძვლიანი რეკონსტრუქცია მე-20 საუკუნეში მომხდარა.

არქეოტური - დმანისი, ქვეში

დმანისის ნაქალაქარისა და ქვეშიც ციხის მონახულება წელიწადის ყველა დროს შესაძლებელია, თუმცა, საუკეთესო მაინც გაზაფხული ან შემოდგომაა. დმანისი-ქვეშის ტური ერთდღიანია და მოიცავს:

9:00. *გამგზავრება თბილისიდან დმანისისკენ*

10:00 *ქვეშის ციხისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მონახულება*

11:30. *დმანისში ჩასვლა, პალეოანთროპოლოგიური ძეგლის, შუა საუკუნეების ციხექალაქის, ისტორიული ნაგებობებისა და დმანისის მუზეუმის დათვალიერება*

15:30. *ლანჩი და პიკნიკი ბუნებაში*

18:00. *თბილისისკენ გამომგზავრება*

ტურის საფარული ერთ ადამიანზე შეადგენს 40 ლარს, საფასურში შედის:

- ტრანსპორტი: თბილისი-ქვეში-დმანისი-თბილისი
- დმანისის მუზეუმის ბილეთები, გიდი, სასმელი წყალი
- <u>ლანჩი, კვება საფასურში არ შედის</u>

დამატებითი ინფორმაცია:

- სალაშქრო ფეხსაცმელი, მზის სათვალე/ქუდი, საწვიმარი, ანტი-ალერგიული მედიკამენტები რეკომენდირებულია. ტანსაცმელი ამინდისა და გემოვნების მიხედვით.